



№1გ/1206-17



## გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით  
საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ

05 ოქტომბერი 2017 წელი

ქ.თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს  
საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე  
გიორგი გოგინაშვილმა

ზეპირი მოსმენის გარეშე, განვიხილე ბრალდებულ ვ. ჟ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, ახალციხის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 30 სექტემბრის განჩინებაზე, ახალციხის რაიონული პროკურატურის პროკურორ კახაბერ ლევიშვილის საჩივრის დასაშვებობის საკითხი და

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :

საქართველოს შსს ახალციხის რაიონული სამმართველოს წარმოებაშია სისხლის სამართლის №016040917001 საქმე ბრალდებულ ვ. ჟ.-ს მიმართ (დაბადებული 19XX წლის XX აგვისტოს, პ/ნ XXXXXXXXXXX).

საქმის მასალების მიხედვით, 2017 წლის 29 სექტემბერს ვ. ჟ.-ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილით - ნარკოტიკული საშუალება მარიხუანას უკანონო შეძენა, შენახვა. (იხ.: დადგენილება პირის ბრალდების შესახებ)

აღნიშნულ საქმეზე, 2017 წლის 29 სექტემბერს, ახალციხის რაიონული პროკურატურის პროკურორმა კახაბერ ლევიშვილმა შუამდგომლობით მიმართა ახალციხის რაიონულ სასამართლოს ბრალდებულ ვ. ჟ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს 1 000 (ათასი) ლარის ოდენობით გამოყენების მოთხოვნით.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 30 სექტემბრის განჩინებით, ახალციხის რაიონული პროკურატურის პროკურორ კახაბერ ლევიშვილის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა



ნაწილობრივ და ბრალდებულ ვ. ჟ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ.

განჩინების მიხედვით, ბრალდების მხარის მიერ სათანადოდ ვერ იქნა დასაბუთებული ბრალდებულ ვ. ჟ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების აუცილებლობა, ვინაიდან ვ. ჟ.-ს ბრალი ედება ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის შესაძლო ჩადენაში, რისთვისაც შესაბამისი მუხლის სანქცია სასჯელის სახით ითვალისწინებს ჯარიმას ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას ვადით ას სამოციდან ორას ოც საათამდე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ასევე ვ. ჟ.-სათვის ბრალად წარდგენილი ქმედების ხასიათის და სპეციფიკის გათვალისწინებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდებულის მიმართ გამოყენებულ უნდა ყოფილიყო გირაოზე ნაკლებად მკაცრი სახის აღკვეთის ღონისძიება- შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, რაც წარმოადგენს ბრალდებულის შემდგომი ნორმალური ქცევის გარანტს და დამაფიქრებელს მისი შემდგომი საქციელის სწორად განსაზღვრისთვის. (იხ:განჩინება)

აღნიშნული განჩინება, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში გაასაჩივრა ახალციხის რაიონული პროკურატურის პროკურორმა კახაბერ ლეკიშვილმა, რომელიც ითხოვს ახალციხის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 30 სექტემბრის განჩინების გაუქმებას და ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს 1 000 (ათასი) ლარის ოდენობით შეფარდებას.

საჩივარში მითითებულია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზეა ბრალდებულ ვ. ჟ.-ს მხრიდან პროცესის მონაწილეებზე ზეგავლენის მოხდენისა და საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურების საფრთხე, ვინაიდან, საქმეზე ჩასატარებელია რიგი საგამომიებო მოქმედებები და გამოძიების მიერ დასადგენია იმ პირთა ვინაობა ვინც ვ. ჟ.-ს ამარაგებს ნარკოტიკული საშუალებებით. პროკურორის განმარტებით, ასევე არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ვ. ჟ. ჩაიდენს ახალ დანაშაულს, რის საფუძველსაც იძლევა თუნდაც ის ფაქტი, რომ ბრალდებულს თავის საცხოვრებელ ბინაში ქოთნისმაგვარ საგანში დარგული ჰქონდა ერთი ძირი ნარკოტიკული საშუალება-კანაფი, რაც ბუნებრივია ზრდის ვ. ჟ.-ს მხრიდან დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების რისკს. შესაბამისად მის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს აღკვეთის ღონისძიების ისეთი სახე, რომელსაც რეალურად შემაკავებელი ხასიათი ექნება ბრალდებულისთვის. დამატებით, რაც შეეხება ვ. ჟ.-ს ქონებრივ მდგომარეობას, საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ უძრავი ქონება პირადად მის სახელზე არ ფიქსირდება, თუმცა ბრალდებულის დედას გააჩნია საცხოვრებელი სახლი, მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით კი გირაოს თანხის განსაზღვრის შემდეგ ბრალდებულს, მისი სახელით ან მის სასარგებლოდ სხვა პირს შეუძლია გირაოს თანხის ნაცვლად შეითანოს ფულადი თანხის ექვივალენტური უძრავი ქონება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ბრალდების მხარე მიიჩნევს, რომ ვ. ჟ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული უნდა იქნეს უფრო მკაცრი აღკვეთი ღონისძიების სახე გირაო-1 000 (ათასი) ლარის ოდენობით,



რაც უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევას და აღკვეთის ღონისძიების კანონით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. (იხ.საჩივარი)

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგია წყვეტს აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებული საჩივრის დასაშვებობის საკითხს, კერძოდ, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების მოთხოვნებს, ამასთანავე, პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოიკვლია თუ არა ან შეაფასა თუ არა ამ კოდექსით დადგენილი წესით არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულება, რომელსაც შეემლო ზეგავლენა მოეხდინა პირისათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მართლზომიერებაზე.

შესაბამისად, შეამოწმა რა საჩივრის შესაბამისობა დასაშვებობისათვის კანონით დადგენილ მოთხოვნებთან, საგამომიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ პროკურორის საჩივარი დაუშვებლად უნდა იქნას ცნობილი და მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი გარემოებები განჩინების მოტივთან დაკავშირებით: პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ბრალდების მხარის შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე განხილულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 196-206-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით.

განჩინების გაცემისას სასამართლომ გამოიკვლია (განიხილა) აღკვეთის ღონისძიების გამოყენების როგორც ფორმალურ, ასევე ფაქტობრივ საფუძველთა არსებობა.

ვ. ჟ.-ს ბრალდებულად ცნობისას, ასევე სხვა საპროცესო მოქმედებათა განხორციელებისას არსებითი ხასიათის საპროცესო დარღვევების დაშვების ფაქტი, რაც გამოიწვევდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმას, საქმის მასალებით არ დასტურდება.

სასამართლომ გამოიკვლია მტკიცებულებათა (ბრალდებით გათვალისწინებული ქმედების ფაქტობრივ გარემოებათა შესახებ მასალების) საკმარისობის საკითხი და მიუთითა, რომ ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებული ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ აღნიშნული დანაშაული შესაძლოა ჩადენილი ჰქონდეს ბრალდებულ ვ. ჟ.-ს.

საქმის მასალების გაანალიზების შედეგად, საგამომიებო კოლეგია ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს მოტივაციას იმის შესახებ, რომ სახეზეა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების წინაპირობები და მიაჩნია, რომ საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა იძლევა საფუძველს დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ ბრალდებულ ვ. ჟ.-ს წარდგენოდა ბრალდება ზემოაღნიშნული ინკრიმინირებული ქმედებისათვის. დასაბუთებული ვარაუდი კი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილის თანახმად, არის საპროცესო კოდექსით აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი, ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა,



რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა. შესაბამისად, ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება მოცემულ საქმეზე სრულად შეესაბამება საპროცესო მოთხოვნებს და პირდაპირ გამომდინარეობს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფაქტობრივი საფუძვლებიდან.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საპროცესო და ფაქტობრივი საფუძვლების შემოწმების შემდეგ, მოსამართლემ უნდა იმსჯელოს კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მიზანშეწონილობაზე და გადაწყვიტოს, თუ რომელი აღკვეთის ღონისძიება უფრო უკეთ უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევას გამოძიებისა და საქმის სასამართლო განხილვის სტადიებზე. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლით გათვალისწინებული აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევა, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, უზრუნველყოფილ იქნას განაჩენის აღსრულება, შესაძლებელია სხვადასხვა სახის აღკვეთის ღონისძიებით, რომელთაგან მოსამართლემ უნდა შეარჩიოს ყველაზე უფრო რელევანტური.

საგამოძიებო კოლეგია აღნიშნავს, რომ ქმედების ხასიათი (ბრალდების მხარის მიერ მითითებული) თუ სხვა გარემოებები, ცალ-ცალკე არ არის გადამწყვეტი ფაქტორი აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის გამოყენებისას. არამედ აღნიშნული, ბრალდებულის პიროვნების, დანაშაულის სიმძიმის, მოსალოდნელი სასჯელის ზომის, მოსალოდნელ საფრთხეებთან დაკავშირებით არსებული რისკების ხარისხისა და საქმის სხვა არსებით გარემოებებთან ერთად, ერთობლიობაში უნდა იქნას შეფასებული და მხედველობაში მიღებული, როგორც მნიშვნელოვანი რისკფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მართლზომიერებაზე.

კონკრეტულ შემთხვევაში, საგამოძიებო კოლეგია ითვალისწინებს ვ. ჟ.-ს მიერ სავარუდოდ შეძენილი და შენახული ნარკოტიკული ნივთიერების სახეს, მის ხელმისაწვდომობას ბუნებრივ პირობებში, ბრალდებულის წარსულს და იმ გარემოებას, რომ ბრალდებულმა გამოძიებას, როგორც მოწმედ, ისე ბრალდებულად გამოკითხვისთანავე მისცა თავისივე მამხილებელი ჩვენება, აღიარებს და ინანიებს ბრალად წარდგენილი ქმედების ჩადენას და თანამშრომლობს გამოძიებასთან. საგამოძიებო კოლეგია მხედველობაში იღებს აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ვ. ჟ.-ს ბრალად ედება ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენა, რომლისთვისაც გათვალისწინებულია არასაპატიმრო სასჯელები- ჯარიმა ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა. ზემოაღნიშნული გარემოებები კი ერთობლიობაში, მნიშვნელოვნად ამცირებს ბრალდების მხარის მიერ მითითებულ მოსალოდნელ საფრთხეებთან დაკავშირებით არსებული რისკების ხარისხს, რა დროსაც ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ თავად საჩივრის ავტორიც მოცემულ შემთხვევაში ითხოვს ბრალდებულის მიმართ არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას, თუმცა ვერ ასაბუთებს საკმარისად თუ რატომ ვერ უზრუნველყოფს ბრალდების მხარის მიერ დასახელებული საფრთხეების აღკვეთას შეთანხმება გაუსვლელია და



სათანადო ქცევის შესახებ, მითუმეტეს, რომ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახე უნდა იყოს ჩადენილი ქმედების პროპორციული და მას შემდეგ, რაც დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით მიჩნეული იქნება ზოგადად აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ბრალდების მხარეს ეკისრება ვალდებულება, წარმოადგინოს დასაბუთება აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის გამოყენების პროპორციულობასთან დაკავშირებით. აღნიშნული ნორმა ადგენს პროკურორის ვალდებულებას, დაასაბუთოს რატომ არის საჭირო კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების (ამ შემთხვევაში გირაოს) გამოყენება და რატომ ვერ იქნება მიზანი მიღწეული სხვა ნაკლებად მკაცრი შეზღუდვის პირობებში. საყურადღებოა ისიც, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, უპირატესობა ყოველთვის უნდა მიენიჭოს უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის ყველაზე მსუბუქ ფორმას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, საგამომიებო კოლეგია ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას ა/ღონისძიების გამოყენების საკითხში და დამატებით აღნიშნავს და მიუთითებს პირველი ინსტანციის სასამართლოებს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მართალია არსებობს ბრალდებულ მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძვლები, მაგრამ არ არსებობს იმ ხარისხის და ზომის რისკი, რომ მის მიმართ გამოყენებული იქნას ბრალდების მხარის მიერ მოთხოვნილი გირაო 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, არა იმ ერთ-ერთი მოტივით როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოს აქვს მითითებული მუხლის სანქციაზე მითითებით, რომ სსკ-ის 273<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილი არ ითვალისწინებს სასჯელად თავისუფლების აღკვეთას და ამიტომ გირაოს გამოყენება არ შეიძლება, აღნიშნული მსჯელობა არ შეესაბამება არც სსკ-ის და არ სსსკ-ის მიზნებს და ვითარებას, რადგან ამ ლოგიკით სასჯელის დანიშვნის დროს მოსამართლე ვერც ჯარიმას ვერ დაუნიშნავს მსჯავრდებულ პირს, რაც იმთავითვე მცარიე მიდგომა და ნორმის არასწორი განმარტება და შეფარდებაა. დასახელებულ შემთხვევაში სასჯელის სახე და აღკვეთის ღონისძიების სახე, რომლიც არ არის დაკავშირებული საპატიმრო ღონისძიებასთან მიუხედავად იმისა სსკ-ის რომელიმე მუხლი ითვალისწინებს თუ არა თავისუფლების აღკვეთას სავსებით შესაძლებელია და კანონიერია ბრალდებულისათვის ა/ღონისძიების გირაოს გამოყენება, რაც არ ზღუდავს და არ აუარესებს ბრალდებულის საპროცესო უფლებებს, ასეთ შემთხვევებში გირაოს გამოყენებას აქვს იგივე დატვირთვა საპროცესო მიზნების შესრულებისათვის და კანონიერად მიიღწევა აღკვეთის ღონისძიების მიზნები ბრალდებულის სათანადო ქცევით. შესაბამისად დაუშვებელია პირველი ინსტანციის სასამართლოების მსჯელობა გირაოს გამოყენებაზე უარის თქმის მოტივად მუხლის სანქციის თავისუფლების აღკვეთის არ არსებობის მომიზეზება, რამეთუ თუ ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობა და საქმის სხვა გარემოებები იძლევა კანონიერ საფუძველს ბრალდებულისათვის გირაოს გამოყენებაზე ბრალდებულს შესაძლებელია შეეფარდოს გირაო ა/ღონისძიებად და დაეკისროს ასევე სხვა დამატებითი ვალდებულებები. სასამართლომ ნორმის არასწორი განმარტებით არ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, სრულყოფილად უნდა იქნა გამორკვეული როგორც გამოსაყენებელი ნორმის ბუნება და შინაარსი ისე საქმის კონკრეტული გარემოებები.



საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების სახით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ შერჩეული შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, ბრალად შერაცხული ქმედების, ბრალდებულის პიროვნების და ქონებრივი მდგომარეობის პროპორციულია, ამ შემთხვევაში ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით შესაძლებელი იყო მას არ შეფარდებოდა გირაო, კერძოდ, ბრალდებული რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში, გააჩნია მძიმე მატერიალური მდომარეობა, რაც ცალსახად ირკვევა საქმეში არსებული ფოტოსურათების მიხედვით ბრალდებულის საცხოვრებელის ადგილის დათვალიერებით, იგი ცხოვრობს მარტო, ბრალდებულს ახალი გარდაცვლილი ჰყავს შვილი, ასევე შეჩერებული აქვს დახმარების გაწევა და ეწევა სასოფლო სამეურნეო საქმიანობას. ამ ვითრებაში კი შესაძლებელია ბრალდებულს არ შეფარდებოდა გირაო და მის მიმართ გამოყენებულიყო ნაკლებად მკაცრი ა/ღონისძიება, სხვა შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა ბრალდებულის მიმართ ბრალდების მხარის მიერ მითითებული ოდენობით გირაოს გამოყენება. ამასთან, მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო დაახლოებით ერთი თვის წინ- 2017 წლის 04 სექტემბერს და დღემდე ბრალდებულ ვ. ჟ.-ს მხრიდან ადგილი არ ჰქონია ახალი დანაშაულის ჩადენის თუ მოწმეებზე ზემოქმედების გზით საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურების მცდელობასაც კი, იგი არ ყოფილა ასევე ნ/საშულების ზემოქმედების ქვეშ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საგამოძიებო კოლეგია მიიჩნევს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში დასახელებული გარემოებების, ასევე ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით, შესაძლებელია გირაოზე ნაკლებად მძიმე აღ/ღონისძიების გამოყენება. საჩივრის ავტორის აპელირებასთან დაკავშირებით ასევე უნდა აღინიშნოს, რომ აღ/ღონისძიების გირაოს გამოყენება არაა უპირობო ბრალდებულის მხოლოდ ქონებრივ მდგომარეობასთან მიმართებაში, ანუ ბრალდებულს შესაძლებელია ქონდეს ქონება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მას აუცილებლად გირაო უნდა შეეფარდოს, თუმცა საქმის მასალების მიხედვით არ იკვეთება დადგენილ ვადში ბრალდებულის მიერ გირაოს გადახდის შესაძლებლობა. ანუ აღ/ღონისძიების გამოყენება და მისი მიზნების მიღწევა განისაზღვრება საქმეში არსებულ გარემოებათა/ფაქტორთა მხედველობაში მიღებით და მოცემულ შემთხვევაში შეფარდებული ღონისძიება არის ბრალდებულის შემდგომი საქციელის სწორად განმსაზღვრელი და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლით განსაზღვრული მიზნებისა და საფუძვლების ადეკვატური.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ საჩივარში არ არის დასაბუთებული გასაჩივრებული განჩინების დებულებათა მცდარობა, რაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების თანახმად, საჩივრის დასაშვებობის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით განიხილა, გამოიკვლია და შეაფასა არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები და გარემოებები, რომელსაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა პირისათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მართლზომიერებაზე. ამასთან, საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია და არც საქმის მასალებში არ მოიპოვება ისეთი



მტკიცებულება, რომელიც არსებით გავლენას მოახდენდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.

ამდენად, გასაჩივრებული განჩინება კანონიერი და დასაბუთებულია, ხოლო წარმოდგენილი საჩივარი არ აკმაყოფილებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს (წინაპირობებს), რის გამოც იგი დაუშვებლად უნდა იქნას ცნობილი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

ვიხელმძღვანელებ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე, მე-202, 207-ე მუხლებით და

და ვ ა დ გ ი ნ ე :

1. ბრალდებულ ვ. ჟ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, ახალციხის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 30 სექტემბრის განჩინებაზე, ახალციხის რაიონული პროკურატურის პროკურორ კახაბერ ლეკიშვილის საჩივარი დაუშვებლად იქნას ცნობილი;

2. განჩინების ასლები შესასრულებლად და ცნობისათვის, გაეგზავნოთ და გადაეცეთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ შესაბამის პირებსა და ორგანოებს;

3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მოსამართლე

გიორგი გოგინაშვილი